# დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების როლი ონლაინ სწავლების პროცესში და მათი ჩართულობის ზეგავლენა ქალების არსებულ სოციალურ როლზე



კვლევის ანგარიში

თბილისი 2021

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

კვლევა მომზადდა პროექტის: - „დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების როლის კვლევა ონლაინ სწავლების პროცესში და მათი ჩართულობის ზეგავლენის შეფასება ქალების არსებულ სოციალურ როლზე“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების“ (RIVG) „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის ავტორის მიერ წარმოდგენილი ხედვა და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიცია. შესაბამისად ”ქალთა ფონდი საქართველოში" არ არის პასუხისმგებელი კვლევის ანგარიშის შინაარსზე.

კვლევის ავტორი: ნატალია ცაგარელი

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................................4
კვლევის მიზანი.................................................................................................6
კვლევის ამოცანა...............................................................................................6
კვლევის მეთოდოლოგია ...................................................................................7
კვლევის შედეგები და მიგნებები.......................................................................8
ა) პანდემიამდე არსებული მდგომარეობა.......................................................8
ბ) პანდემიის შემდგომი პერიოდი ................................................................13
კვლევის ძირითადი მიგნებები:......................................................................22

# კვლევის ანგარიში

## შესავალი

საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქალისა და მამაკაცის გენდერული როლები საზოგადოებაში საკმაოდ სტერეოტიპულად არის გადანაწილებული. წლების მანძილზე არსებული შეხედულებების, აღზრდის თავისებურებებისა, თუ ე.წ. მასკულინური ტრადიციების გამო, ქალებს უფრო მეტი ტვირთი აწვებათ ოჯახშიც.

„ქალსა და მამაკაცს განსხვავებული როლი აქვთ ოჯახში. ქალი მიბმულია ოჯახსა და ბავშვებზე, ხოლო მამაკაცების როლი უფრო მეტად დასაქმებას უკავშირდება... სხვადასხვა გამოწვევამ - ომმა, ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობა, რომ ქალები ორმაგ დატვირთვას იღებენ თავიანთ თავზე, ის ქალებიც კი, რომლებიც დასაქმებულნი არიან გარეთ, სახლში არ თავისუფლდებიან საოჯახო შრომისგან და სახლის საქმეების გაკეთებაც ძირითადად მათ უწევთ. ამ შემთხვევაში ქალის შრომა შეუმჩნეველი რჩება.“[1]

ოჯახში ქალის როლზე საუბარია არაერთ კვლევაში, სადაც აღნიშნულია, რომ წარსულში არსებული სტერეოტიპები, რომ მამაკაცი „ოჯახის მარჩენალია“ და გადის სახლიდან, ქალი კი სახლში რჩება და მეორად საქმეებზე აკეთებს აქცენტირებას (ბავშვის მოვლა, ოჯახზე ზრუნვა), წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს გაბატონებულ მოსაზრებას საზოგადოებაში.[2]

ოჯახში ქალების შრომა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც პანდემიის გამო ქალებიც სახლიდან მუშაობენ, ან კვლავაც დადიან სამსახურებში, თუმცა მათი შვილები გადავიდნენ ონლაინ სწავლებაზე. ამ დროს ქალებს არა მხოლოდ იმ საქმეების კეთება უწევთ, რაც გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენით ისედაც მხოლოდ მათ „მოვალეობად“ აღიქმებოდა (სადილის მომზადება, სახლის დალაგება, ბავშვებზე ზრუნვა), არამედ ამას დაემატა ონლაინ სწავლება და ამით გამოწვეული დამატებითი პასუხისმგებლობები. დისტანციური სწავლება განსაკუთრებულ ტვირთად დააწვათ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლებს, რადგან მათ გამუდმებით უწევთ ტექნიკური დახმარება აღმოუჩინონ შვილებს, როგორც

[1] გენდერული შეფასება-კვლევის ანგარიში, ვორლდ ვიჟენის მიერ 2014 წელს განხორციელებული კვლევა ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, გვ.20

[2] ქალის გენდერული როლი საზოგადოებაში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი (2015), გვ.3

გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილის შემდეგ (მოიძიონ მათი დავალებები, გადაუგზავნონ პედაგოგს, აკონტროლონ მეცადინეობის დრო და ხარისხი), ასევე რიგ შემთხვევაში შეითავსონ პედაგოგისა და მასწავებლის ასისტენტის ფუნქციები.

ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების კვლევები მოწმობს, რომ ამ სიტუაციაშიც ტვირთი ძირითადად დედებს დააწვათ. საქართველოში კოვიდ-19-ის შედეგად შემოღებული დისტანციური სწავლების პროცესში ჩართულობა და ამ შრომის გავლენა ქალების სოციალურ როლზე, მათ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე ცალკე არ შეფასებულა, თუმცა ხელმისაწვდომია არაერთი უცხოენოვანი სტატია და ბლოგი, სადაც მოცემულია ამ საკითხების ანალიზი და აღწერილია, რომ ეს საქმიანობა საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა ქალებისთვის, ასევე განხორციელდა პანდემიის ზოგადი ზეგავლენის შეფასება ქალებზე. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით: „ჩაკეტვას საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოჰყვა ქალებზე. ბავშვებთან დაკავშირებული საქმიანობის უდიდესი ნაწილი დედებს დააწვათ ტვირთად. ბავშვების საკმაოდ დიდი ასაკობრივი ჯგუფი საჭიროებს ზედამხედველობას ონლაინ სწავლების პროცესში, რათა მოხდეს მათი ტექნიკური მხარდაჭერა სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენების პროცესში, ეს კი ყოველდღიურ გამოწვევად იქცა დედებისთვის. ონლაინ სკოლამ მათში გამოიწვია შფოთვა და ფრუსტრაცია, რაც საკმაოდ დიდ ყურადღებასა და დაფიქრებას მოითხოვს.“[3]

გამოცემა „The Washington Post”-ის ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნულია, რომ „საქმიანობები, რომლებიც გადანაწილებული იყო სკოლაზე, ბებია-ბაბუებზე, ძიძაზე, ამჟამად სრულად მშობლებზე მოდის და საკმაოდ დისპროპორციული განაწილებით ძირითადად დედებს აწვებათ ტვირთად. ამით მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი მენტალური დატვირთვა, რაც თან ახლავს ამგვარ დამატებით საქმიანობას. ასევე თვალსაჩინოა მეუღლეებს შორის დისბალანსი იმ საქმიანობაში, რასაც მშობლობის „უჩინარ საქმიანობას“ უწოდებენ.“[4]

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ COVID-19-ის პანდემიის შემდგომ პერიოდში ჩატარებულმა სწრაფმა გენდერულმა შეფასებამ აჩვენა, რომ დასაქმებული მოსახლეობის მესამედმა დაკარგა სამსახური. ქალების 78% პროცენტი აცხადებს, რომ შეზღუდვების გაგრძელების შემთხვევაში, მათ გაუჭირდებოდათ ელემენტარული ხარჯების დაფარვა. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ არსებულმა აკრძალვებმა, ასევე სკოლებისა და ბაღების ჩაკეტვამ გაზარდა ქალების აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი, რადგან ისინი უფრო მეტ დროს უთმობდნენ ბავშვების მოვლას, დალაგებას, საჭმლის მზადებას ვიდრე პანდემიამდე პერიოდში. საოჯახო საქმის ტვირთის გაზრდამ კიდევ უფრო გააღრმავა ისედაც არსებული გენდერული უთანასწორობა

[3] www.Infano.care

[4] სტატია გაზეთიდან “The Washington Post”, მაისი 2020

ოჯახური საქმის გადანაწილების მიმართულებით და ხელი შეუწყო ქალთა თავისუფალი დროის უფრო მეტად შემცირებას.[5]

ამავე შეფასების თანახმად, „ქალები უფრო მეტად არიან ჩართულნი თითქმის ყველა საოჯახო საქმეში, ვიდრე კაცები, გამონაკლისს წარმოადგენს შინაურ ცხოველებზე ზრუნვა. კაცების 47%- ს არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახლის დალაგებაში, 43%-ს კი არასდროს მოუმზადებია საჭმელი, ხოლო ერთ მესამედს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ბავშვების მოვლაში. ამ მონაცემებისგან განსხვავებით, ქალების მხოლოდ მცირე რაოდენობა აღნიშნავს, რომ საოჯახო საქმეს არ ასრულებს."[6]

## კვლევის მიზანი

აღნიშნული მცირე მასშტაბის კვლევის  მიზანს წარმოადგენდა განხორციელებულიყო დისტანციურ სწავლებაში დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების როლის შეფასება COVID-19-ის შემდგომ პერიოდში, აგრეთვე შეფასებულიყო დისტანციურ სწავლებაში ჩართულობის ზეგავლენა ქალის სოციალურ როლზე  საზოგადოებაში.

## კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- *განხორციელებულიყო მცირე მასშტაბის კვლევა საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლებს შორის, რათა შეფასებულიყო ქალების/დედების ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე წარმოეჩინა რა ზეგავლენას ახდენს ეს მათ როლზე ოჯახში, საზოგადოებაში, ისევე როგორც მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე;*
- *კვლევის ანგარიშის საშუალებით გაზრდილიყო ცნობიერება ონლაინ სწავლების ზეგავლენაზე დედების საქმიანობისა და დატვირთვის ნაწილში და დაეფიქრებინა შესაბამისი უწყებები (დამსაქმებლები, განათლების,*

[5] გაეროს ქალთა ფონდი, საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება (2020)

[6] გაეროს ქალთა ფონდი,  საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება (2020)

*მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, სოციალური მუშაკები, არასამთავრობო სექტორი) შეეტანათ წვლილი გამოსავლის ძიებაში, მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებაში, რამაც შესაძლოა დედების მდგომარეობა მცირედ მაინც შეამსუბუქოს;*

## კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის განხორცილებისთვის შეიქმნება ნახევრად სტრუქტურირებული მცირე ზომის კითხვარი დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედებისა და მამებისთვის, ასევე განსახილველი თემების ჩამონათვალი საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგთა მონაწილეობით შემდგარი ფოკუს ჯგუფის წარმართვისთვის. კვლევის ფარგლებში გამოკითხულნი იყვნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედები (14), დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მამები (6) და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პედაგოგები/კლასის ხელმძღვანელები (4). პანდემიის შედეგად არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ონლაინ პლატფორმა ზუმის საშუალებით. კვლევის მონაწილეები გაფრთხილებულნი იყვნენ საუბრის აუდიოჩაწერის თაობაზე, რომელზე დაყრდნობითაც თითოეული ინტერვიუს/ფოკუს ჯგუფის შემდეგ ხდებოდა საუბრის ტრანსკრიპტის მომზადება, რაც უზრუნველყოფდა მიღებული ინფორმაციის ზუსტად გადატანას კვლევაში. კვლევის ინსტრუმენტში მოცემული კითხვები ეხებოდა როგორც პანდემიამდე არსებულ, ისე პანდემიის შემდგომ პერიოდს, შესაბამისად შედეგების ანალიზის დროსაც, შეფასებები ორად არის გაყოფილი.

რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა როგორც კვლევით გათვალისწინებული მიზნობრივი შერჩევის (კერძო ან საჯარო სკოლა, დედა, მამა ან პედაგოგი, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი, დასაქმებული ან დაუსაქმებელი), ასევე თოვლის გუნდის პრინციპის გამოყენებით. გამოკითხულ მშობლებს შორის იყვნენ, როგორც დასაქმებული დედები, ასევე ისინიც, რომლებიც დასაქმებულნი არ არიან, ასევე მარტოხელა დედები, რომლებსაც შვილებზე ზრუნვა ოჯახის სხვა წევრების დახმარების გარეშე უწევთ.

კვლევის მიმდინარეობისას, ჯამში გამოკითხული იყო 6 მამაკაცი რესპონდენტი (3-3-კერძო და საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მამები), 14 ქალი რესპონდენტი (7-7-კერძო და საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედები და 4 პედაგოგი (3 საჯარო სკოლისა და 1 კერძო სკოლის დაწყებითი კლასების დამრიგებლები). ჯამში ჩატარდა 20 ინტერვიუ (მშობლებთან) და ერთი ფოკუს ჯგუფი (პედაგოგებთან).

# კვლევის შედეგები და მიგნებები

## ა) პანდემიამდე არსებული მდგომარეობა

კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიის დაწყებამდე სწორედ ქალები იყვნენ ოჯახის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ძირითადად საკუთარ თავზე ჰქონდათ აღებული საოჯახო საქმიანობის დიდი ნაწილი. ისინი ასრულებდნენ ისეთ სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია საოჯახო მეურნეობის გაძღოლასთან, მაგ. სახლის დასუფთავება, სარეცხის რეცხვა, დალაგება, საჭმლის მომზადება და სხვა, ასევე მათი ნაწილი თავად იყო პასუხისმგებელი პროდუქტის მოტანაზე და სხვა საჭირო საოჯახო ნივთების შეძენაზე. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქალების უმრავლესობა პანდემიამდე პერიოდში დასაქმებული იყო, ყოველდღიურ რეჟიმში დადიოდა სამსახურში, შესაბამისად ისინი მეუღლეებთან ერთად მონაწილეობდნენ ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის ნაწილშიც. ცალკეული რესპონდენტების შემთხვევაში ოჯახის მატერიალური შემოსავალი მხოლოდ მამაკაცის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, მარტოხელა დედების შემთხვევაში კი პირიქით, მხოლოდ ქალების. ამ შემთხვევებშიც, როდესაც ქალები არ იყვნენ დასაქმებულნი და მატერიალურად მამაკაცებზე იყვნენ დამოკიდებულნი, ისინი მნიშვნელოვან შრომას ეწეოდნენ სახლში და აქტიურად მონაწილეობდნენ შვილების აღზრდაში. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ბავშვების მოვლისა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლის ტვირთი ძირითადად მათზე გადადიოდა, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ქალებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ, პირიქით ცდილობდნენ საშინაო საქმეებში მონაწილეობის ნაკლები წილი მეუღლეების გადატვირთულობით აეხსნათ, რაც შესაძლოა მართლაც ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენდეს. რესპონდენტების ნაწილი საოჯახო საქმეებს ძირითადად უწოდებდა „დიასახლისის საქმეს“, „ქალის საქმეს“ და ფაქტობრივად არ უჩნდებოდა კითხვა ამ საქმეში მამაკაცის ნაკლებად ჩართულობასთან დაკავშირებით. მათი უმრავლესობა მეუღლის ნაკლებ ჩართულობას უკავშირებდა მის უფრო დაკავებულ გრაფიკს, ნაკლებ თავისუფალ დროს და გარკვეულ უხერხულობას განიცდიდა მათი ჩართულობის ნაკლები ქულით შეფასების გამო. რესპონდენტთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ როდესაც მათ მეუღლეებს სცალიათ, ისინი ყველაფერში ეხმარებიან, საოჯახო საქმეებში ჩართულობის კუთხით, რესპონდენტებს არ ჰქონდათ მოთხოვნილება მიეღოთ დახმარება მამაკაცის მხრიდან, აღნიშნავდნენ, რომ ძირითადად ისეთ აქტივობებში იღებენ დახმარებას, რაც ძალასთან არის დაკავშირებული. გამოკითხული მამაკაცების განმარტებითაც, ისინი ნაკლებად არიან

სახლის საქმეში ჩართულნი და ძირითადად მონაწილეობენ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა პროდუქტის მოტანა, ბავშვების სკოლასა და წრეებზე ტარება, ნაწილობრივ დაწყებითი კლასის მოსწავლე შვილების მეცადინეობა, გასეირნება და გართობა.

> ***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„ როგორც ყველა ქალისთვის საოჯახოს საქმეები, ბავშვებზე ყურადღება მეცადინეობის თვალსაზრისითაც და ყველაფერი ცოტ-ცოტა. დალაგება, სადილი, სარეცხი ჩემი მოვალეობა იყო, დილით სკოლაში მე მიმყავდა ბავშვი.“*

> ***რესპონდენტი 2 (დედა)*** *: „ჩვეულებრივი ყველა დიასახლისი რასაც აკეთებს, სახლის საკითხები, საჭმელი, რავიცი ყველაფერი რაც დიასახლისს ევალება, დალაგება, რეცხვა, სადილების გაკეთება, ცხობითაც ვაცხობდი ბავშვებთან ერთად.“*

> ***რესპონდენტი 3 (დედა):*** *„ბავშვები მიმყავდა სკოლაში, მერე მივდიოდი სამსახურში, შესაბამისად მერე სახლში საოჯახო საქმეები, სადილი, რეცხვა უთოობა, სწავლა, რაც ქალისთვის არის, ქალის შრომას რაც ეხება“*

> ***რესპონდენტი 4 (დედა):*** *„ყველაფერი სახლში. ბავშვებთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოწესრიგება. მთელი კვირის განმავლობაში ბავშვებს სკოლაში ამეცადინებდნენ, პარასკევს ატანდენნ ჩანთას და შაბათ-კვირას ვამეცადინებდი მე. სადილი, დარეცხვა, დალაგება ყველაფერი მე.“*

> ***რესპონდენტი 5 (მამა):*** *„საოჯახო საქმეში ნაკლებად, ძირითადად მაღაზიაში სიარული, პროდუქტების მოტანა, სხვა ყველაფერი, სახლის საქმე არა.“*

> ***რესპონდენტი 6 (მამა):*** *„ძირითადი ვალდებულებები მეუღლეზე იყო. მე სკოლაში წაყვანა ბავშვების, სახლი საქმე ნაკლებად, უფრო პროდუქტის მოტანა. იშვიათად ვამეცადინებდი.“*

რაც შეეხება ბავშვების აღზრდის ნაწილს, აქაც გამოიკვეთა, რომ წამყვანი როლი დაწყებითი კლასის მოსწავლე შვილების აღზრდაში, ასევე მათ სწავლებაში დედებს უჭირავთ. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა დედების ჩართულობას ბავშვის აღზრდის მიმართულებით პანდემიამდე პერიოდში უფრო მაღალი ქულით აფასებდა, ვიდრე მამების. როგორც უკვე აღინიშნა, გამოკითხული ქალი რესპონდენტები ქულების მინიჭების პარალელურად განმარტავდნენ, რომ ნაკლები ჩართულობა გამწვეული იყო არა იმით,

რომ მამებს არ სურდათ მონაწილეობა, არამედ იმ ობიექტური გარემოებით, რომ ისინი სამსახურში უფრო დაკავებულები იყვნენ და შესაბამისად ნაკლები დრო რჩებოდათ საოჯახო საქმეებისთვის. ამავდროულად იყო საკითხები, რომლებშიც მათ დახმარების მოლოდნი მამაკაცის მხრიდან არც ჰქონდათ, რადგან ამ საქმიანობას (რეცხვა, დალაგება, საჭმლის კომზადება) ცალსახად ე.წ. „ქალის საქმედ“ აღიქვამდნენ. გამოკითხული მამაკაცებიც აღნიშნავდნენ, რომ ბავშვების სწავლის ნაწილში მათი მეუღლეები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი და დედების წილი ამ საქმიანობაში მათსას აღემატებოდა. როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმეტესობამ აღნიშნა, რომ პანდემიამდე პერიოდში, ბავშვები გაკვეთილების დიდ ნაწილს სკოლაშივე ამზადებდნენ, კერძო სკოლებში ეს ხერხდებოდა ასისტენტის დახმარებით, საჯარო სკოლებში კი გახანგრძლივებული სერვისის სარგებლობის შედეგად. როგორც მშობლების უდიდესმა ნაწილმა განაცხადა, სახლში მათ ან მხოლოდ უცხო ენაში სჭირდებოდათ ბავშვის დახმარება, ან უბრალოდ აკონტროლებდნენ დავალებების შესრულების ნაწილს და ამ საქმიანობას დღის განმავლობაში მაქსიმუმ ორ საათს უთმობდნენ. კვლევამ ცხადყო, რომ საოჯახო საქმიანობის მსგავსად, სწავლის ნაწილშიც შრომა მეუღლეებს შორის არათანაბრად იყო გადანაწილებული და ამ მიმართულებით დედების ჩართულობის ხარისხი აღემატებოდა მამების მონაწილეობის მაჩვენებელს. ამ უთანასწორობას ადასტურებენ კვლევის ფარგლებში გამოკითხულლო პედაგოგებიც. მასწავლებლების ფოკუს ჯგუფში მონაწილე პედაგოგების განმარტებითაც, მათ პანდემიამდე პერიოდშიც ძირითადად ურთიერთობა ჰქონდათ ბავშვების დედებთან და ბებიებთან, მამები შვილების სწავლის ნაწილში ნაკლებად აქტიურობდნენ და იმ შემთხვევაშიც, თუ მათ გამოჰყავდათ ბავშვების სკოლიდან, შედარებით მორიდებულად იყვნენ პედაგოგებთან და არ კითხულობდნენ ბავშვების აკადემიური მოსწრებისა და მათი ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციას. თუმცა კვლევის მიმდინარეობისას დასახელდა რამდენიმე გამონაკლისი (მხოლოდ ორი შემთხვევა), როდესაც აკადემიურ პროცესში მოსწავლის მამა უფრო აქტიურად იყო ჩართული, ვიდრე დედა.

> ***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„ძირითადად მომზადებული მოდიოდა. მაქსიმუმ ორ საათს ვუთმობდი, ცოტა მხატვრულ ლიტერატურასაც ვუკითხავდი“.*
>
> ***რესპონდენტი 2 (დედა):*** *„მხოლოდ უცხო ენაში ვეხმარებოდი, დანარჩენი იქ ჰყავთ ასისტენტი, რომელიც უკვე მასთან მუშაობს.“*
>
> ***რესპონდენტი 3 (დედა):*** *“არანაირი ვალდებულება არ მქონდა, გარდა იმისა რომ წელიწადში ორჯერ რომ იყო შეხვედრები იქ დავდიოდი, ძირითადად მხოლოდ უმცროსის დავალებებს ვაკონტროლებდი,*

*დანარჩენი არაფერი არ მეხებოდა, თუ შესრულებული არ ჰქონდა მოვთხოვდი შეესრულებინა, თუ ჰქონდა უბრალოდ ვაკონტროლებდი რომ შესრულებული ქონოდა.„*

***რესპონდენტი 4 (მამა):*** *„განაწილებული გვქონდა საგნები, რაღაც საგნები იყო, რასაც მე ვუმოწმებდი, ვეხმარებოდი, რაღაც საგნები იყო რაშიც მეუღლე ეხმარებოდა.“*

***რესპონდენტი 5 (მამა):*** *„ძირითადად მეუღლე ამეცადინებდა, მე ცოტა ხანს ვუთმობდი“.*

***რესპონდენტი 6 (პედაგოგი):*** *„ უფრო ძირითადად დედები არიან ხოლმე ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, დედები, ბებიები.“*

კვლევის ფარგლებში დასმული კითხვების ნაწილი ეხებოდა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლების თავისუფალი დროის არსებობას, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თავისუფალი საათების არსებობა და ძირითადად რა მიზნისთვის ხდებოდა მათი გამოყენება. როგორც აღმოჩნდა, კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობას პანდემიამდე პერიოდში არსებული გრაფიკიდან გამომდინარე, თავისუფალი დრო ფაქტობრივად არ რჩებოდა. ამაზე მიუთითებდა თითქმის ყველა გამოკითხული რესპონდენტი. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თავისუფალი დროის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, თუმცა რეალურად თავისუფალი დრო მათთვის ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და ხშირად უხდებოდათ ისეთ საქმიანობაზე უარის თქმა, რაც მათთვის საინტერესო იყო. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებდა, რომ სამუშაო დღეებში თავისუფალი დრო ფაქტობრივად არ რჩებოდათ, ამას ძირითადად უქმე დღეებში ახერხებდნენ და ამ დროის უდიდეს ნაწილს ისევ ოჯახთან და შვილებთან ერთად ატარებდნენ, აქაც წამყვან როლს ბავშვების სურვილი და მათთვის სასურველი საქმიანობა იკავებდა. რაც შეეხება მხოლოდ საკუთარი თავისთვის გამოყოფილ დროს, თავისუფალი დროის ამ ნაწილს, მონაწილეთა უმრავლესობა უთმობს საკუთარი თავის მოწესრიგებას და სალონური მომსახურების მიღებას, მათი აზრით ეს აუცილებელია, რომ მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულად გამოიყურებოდნენ, თუმცა რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ამის დროც არ რჩებათ და ისევ სამუშაო საათების ან ძილისთვის განკუთვნილი დროის ხარჯზე ცდილობენ ამის დაკომპენსირებას. მხოლოდ ცალკეული რესპონდენტების შემთხვევაში, გამოკითხულმა ქალებმა განაცხადეს, რომ მართალია თავისუფალი დრო მცირე რაოდენობით რჩებათ, თუმცა მას მაინც იყენებენ საკუთარი სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად და დარჩენილ საათებს უთმობენ მეგობრებთან ურთიერთობას, კინოში ან ბარში სიარულს, მათთვის სასურველი ინფორმაციის გაცნობას, ვარჯიშს და ა.შ.

***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„ძირითადად არ მრჩებოდა დრო ნამდვილად. სახლში შვიდ საათამდე ვერ მივდიოდი, მერე მოგეხსენებათ ოჯახური საქმეები, ხუთსულიანი ოჯახი და, მაგრამ განაწილებული მქონდა ეს დრო, პირადად ჩემთვის დრო უფრო შაბათ-კვირას მრჩებოდა, დავდიოდი კინოში ბავშვებთან ერთად, ხან მეუღლესთან ერთად, სტუმრად მივდიოდი, ჩვენთანაც მოდიოდნენ და ასე.“*

***რესპონდენტი 2 (დედა):*** *„ფაქტიურად თავისუფალი დრო ჩემთვის ასე პირადად არ მქონდა, იშვიათად, უფრო შაბათ-კვირას თუ ვახერხებდით ოჯახი ერთად სადმე წასვლას, ეს იყო ჩვენთვის ყველაზე ისეთი განტვირთვა.“*

***რესპონდენტი 3 (დედა):*** *„ვაიმე არა, თუ გამოუვალი სიტუაცია იყო კი, ისე როდის სახლში მოხვალ, ვცდილობ ის დროც ექვსი საათის მერე, როდის ბავშვებს მოაწესრიგებ, დასვენებაც ხომ უნდათ და ძალიან მცირე დროა და ჩემ თავს ნაკლებ დროს ვუთმობ.“*

***რესპონდენტი 4 (დედა):*** *„- ძალიან მნიშვნელოვანი იყო რომ დამრჩენოდა თავისუფალი დრო, რადგან ერთადერთი დრო რაც შეიძლება ჩემთვის მქონდეს არის სამსახურის შემდგომ საათებში, ჩემი ინტერესის სფეროდან გამომდინარე ვეცნობოდი სხვადასხვა ინფორმაციებს, თუნდაც ვკითხულობდი, ტელევიზორს ვუყურებდი, სადღაც გავდიოდი საღამოს.“*

***რესპონდენტი 5 (დედა):*** *„ცხრიდან ღამის სამ საათამდე, ეს იყო ჩემი თავისუფალი დრო. არ ვიცი სხვა მარტოხელა დედებს ემართებათ ეს თუ არა, ძალიან რთულია, არაფრისთვის დრო არ გრჩება, შენი თავისთვის დრო არ გრჩება, ყველაფერი შენა ხარ, ანუ მოთრევა, სახლის საქმე, ყველაფერი შენ ხარ და შესაბამისად შენ აღარა ხარ.“*

***რესპონდენტი 6 (დედა):*** *„რა თქმა უნდა არ მრჩებოდა, ამდენ რაღაცას როცა ხარ ადამიანი მოჭიდებული, რა თავისუფალ დროზეა საუბარი, თუ ძალიათ გამოვაჩენდი რაღაც ძალით, მაშინ შეიძლება დამეთმო, ისე რომ თავისით დამრჩეს დრო, ასე არა.“*

***რესპონდენტი 7 (დედა)*** *- კვირის დღეებში არ მრჩებოდა თავისუფალი დრო, უფრო შაბათ-კვირას. შაბათ-კვირას ბავშვებთან ერთად ვატარებდი, დავდიოდით სადაც უნდოდათ წასვლა, გასართობი ცენტრი იყო, თუ სასეირნოდ და ვცდილობდით რაც ჰქონდა ნამეცადინები, ის გაგვემეორებინა. პერსონალურად ჩემთვის იშვიათად ვხარჯავდი,*

*მრჩებოდა დრო, მაგრამ მაინც ვცდილობდი ბავშვებთან ერთად მეტარებინა. „*

ბ) პანდემიის შემდგომი პერიოდი

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობაზე პანდემიამ ნეგატიურად იმოქმედა. მათ ნაწილს გამკლავება მოუხდა არა მხოლოდ არსებულ შეზღუდვებთან, სოციალური კავშირების სიმწირესთან და ჩაკეტილობასთან, არამედ მატერიალური მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან. როგორც კვლევის შედეგების ანალიზით ირკვევა, ოჯახის საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით, ქალების დატვირთვა პანდემიის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა, ზოგი მათგანის განმარტებით, ფაქტობრივად გაორმაგდა კიდეც, რადგან ძირითადად ოჯახის წევრების უმრავლესობა სახლშია, დალაგებას მეტი დრო მიაქვს, ასევე უფრო ხშირად უხდებათ საკვების მომზადება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ადრესატების ნაწილი, მიუხედავად ონლაინ მუშაობის ფორმისა, მაინც სრული დატვირთვით აგრძელებდა საქმიანობას და გაზრდილი მოცულობის საოჯახო საქმიანობის შეთავსება უწევდა სამსახურებრივ მოვალეობებთან. რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ხშირად უჭირდათ ერთმანეთთან შეეთავსებინათ ბავშვების მოვლა და სამსახურის საქმე, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა მათ სტრესსა და დაძაბულობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ოჯახებშიც, რომლებიც სარგებლობდნენ ოჯახის დამხმარისა და ძიძის მომსახურებით, მათი სერვისის მიღება აღარ იყო შესაძლებელი, რადგან ქუჩაში გადაადგილება შეიზღუდა და ეს პირები ფიზიკურადაც ვეღარ ახერხებდნენ მათთან მისვლას. ამ ფაქტმა თავის მხრივ გაზარდა იმ დედების როლი, რომლებიც დამხმარე პერსონალის სერვისით სარგებლობდნენ. როგორც კვლევიდან ჩანს, საოჯახო საქმეების გაზრდილი მაჩვენებელი სხვადასხვა მიზეზების (მამაკაცების სამუშაო პირობები, საოჯახო საქმეში ჩართულობის პასიური მაჩვენებელი) ისევ ქალებს უფრო მეტად დააწვათ ტვირთად. თუმცა რესპონდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც განაცხადეს, რომ მათთვის სახლში ყოფნა ბევრად უფრო კომფორტული აღმოჩნდა, რადგან მონატრებულნი იყვნენ შვილებთან ურთიერთობას, რისი შესაძლებლობაც სახლში ყოფნის პირობებში მიეცათ, ამავდროულად ბავშვების სახლში ყოფნის პირობებში უფრო მშვიდად გრძნობდნენ თავს.

***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„მთელი დღის განმავლობაში მთელი ოჯახი სახლში რომ ვართ, ჩემი მეუღლის გარდა, უფრო მეტი სადილის და საჭმლის გაკეთება მიწევს და სუფრის გაშლა, მაგ კუთხით ნამდვილად მეტი შრომა მიწევს, დალაგების კუთხითაც, სახლის საქმე ზოგადად*

*გაორმაგდა. პატარა სულ სახლშია თან, აბსოლუტური ყურადღება სჭირდება და სამუშაო რეჟიმშიც კი ხან კალთაში მიზის, ხან კისერზე მაზის და ასე რომ მაინც ფიზიკურად ვერ იქნები ისე რომ ოთახში გამოიკეტო და შენი საქმე გააკეთო.“*

***რესპონდენტი 2 (დედა):** „ჩემთვის ის შეიცვალა, რომ მასწავლებლები დავალებებს უფრო დიდი მოცულობით აძლევდნენ და მეტი დრო სჭირდებოდათ. პანდემიის შემდეგ გაიზარდა მეცადინეობის დრო ერთი საათით.“*

***რესპონდენტი 3 (დედა):** „საოჯახო საქმის კუთხით, გამეზარდა ჩართულობა, მიწევდა დისტანციურად მუშაობა და სახლში რომ ვიყავი, საოჯახო საქმეებშიც მეტად ვიყავი ჩართული, დამხმარე ქალიც ვეღარ მოდის, რადგან გვეშინია დედა რისკ ჯგუფია და ეს ტვირთიც დაგვაწვა ოჯახის წევრებს. ბავშვის მოვლის ნაწილშიც ბევრი რამე შეიცვალა.“*

***რესპონდენტი 4 (დედა):** „ბავშვები სულ სახლში არიან, არსად გადიან, დღეში სამჯერ უნდა გააკეთო რომ აჭამო, მარტო ეს ჯერ, სულ დადიან, პატარები არიან, სახლი მოაწესრიგო და რავიცი.“*

რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, კვლევამ აჩვენა, რომ მდგომარეობა გარკვეულ წილად განსხვავებული იყო საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის. კერძო სკოლებში უფრო დიდი საგაკვეთილო ბადე იყო, ასევე გაკვეთილები ტარდებოდა სრული მოცულობით, დისტანციური სწავლების დაწყებიდან მალევე კერძო სკოლებმა მშობლებს შესთავაზეს ასისტენტის საათის სერვისიც, თუმცა მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, საგაკვეთილო პროცესი მაინც განსხვავდებოდა საკლასო სწავლებისგან. მშობელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი ჩართულობა სწავლების პროცესში გაიზარდა. განსაკუთრებით ონლაინ სწავლების საწყის ეტაპზე დაწყებითი კლასის მოსწავლეები დახმარებას საჭიროებდნენ არა მხოლოდ სწავლის მიმართულებით, არამედ დისციპლინის უზრუნველყოფისა და გაკვეთილზე დასწრების უნარ-ჩვევების კუთხითაც, ასევე სჭირდებოდათ მხარდაჭერა ტექნიკური ნაწილის უზრუნველსაყოფადაც (თიმსში/ზუმში შესვლა, კოდების შეყვანა, შესაბამის დავალებების ნახვა, ატვირთვა, უკუკავშირის მიღება/გაცნობა და სხვ).

მშობლების განმარტებით, გაიზარდა სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ქულებით შეფასების მაჩვენებელიც, რესპონდენტების უმრავლესობა პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესში მათ ჩართულობას პანდემიამდე არსებულ პერიოდთან შედარებით სულ მცირე ორი ქულით მეტი მაჩვენებელით აფასებდა. მშობლების განმარტებით, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ასეთი

ხარისხის ჩართულობა საკმაოდ რთული შესათავსებელი აღმოჩნდა სამსახურთან, არასასკოლო, თუ სასკოლო ასაკის ბავშვების აღზრდის სხვა ვალდებულებების პარალელურად. მშობლები წუხდნენ, რომ დისტანციურმა სწავლებამ მოშალა ბავშვების არსებული ყოველდღიური რუტინა და ისინი უფრო მეტად გადავიდნენ არაჯანსაღი ცხოვრების წესზე, დილით უჭირდათ გაღვიძება, ისეთი ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვაც კი, როგორიცაა პირის დაბანა, კბილის გახეხვა, თმის დავარცხნა, მოწესრიგება და ა.შ. მიუხედავად კერძო სკოლებში არსებული ასისტენტის სერვისისა, ბავშვების ნაწილი უარს აცხადებდა მათი სერვისით სარგებლობაზე და მათი მეცადინეობა მაინც მშობლებს უწევდათ, რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ონლაინ სწავლებით გადაღლას და ბავშვებში მოტივაციის შემცირებას.

> ***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„ნუ თავიდან საკმაოდ სირთულეები გვქონდა, ახალი იყო ეს ყველაფერი ბავშვისთვისაც, ჩემთვისაც, სკოლისთვისაც და საკმაოდ  აქტიურად მიწევდა ჩართვა, თან სამსახურიც პარალელურად, ძალიან გაწამაწიაში ვიყავი ასე რომ ვთქვათ, თავიდან გაკვეთილების მომზადებაშიც საკმაოდ აქტიურად ვიყავი ჩართული, იმიტომ, რომ ასისტენტის საათი არ ჰქონდა დისტანციურად უზრუნველყოფილი სკოლას, შემდეგ ესეც შემოგვთავაზეს.“*

> ***რესპონდენტი 2 (დედა):*** *„განსაკუთრებით პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებისთვის ძალიან რთულია დედის გარეშე, რაც არ უნდა ბავშვი განვითარებული იყოს, მაინც სჭირდება დახმარება, რადგან ხარვეზები ყოველთვის აქვს ამ პროგრამებს, განსაკუთრებით საჯარო სკოლებს, იმიტომ რომ იქ რაოდენობრივად ბევრი ბავშვია, ასეთ ყურადღებას ვერ აქცევენ როგორც ჩვენთან და სახლშიც დავალების გაკეთება მშობლებთან ერთად უწევთ.“*

> ***რესპონდენტი 3 (დედა):*** *„მიწევს გაცილებით მეტი კონტროლი, მის გვერდით ჯდომა. ტექნიკური დახმარებაც სჭირდება, ეს ძალიან დიდ პრობლემას ქმნის, ბავშვებს ყველას ინდივიდუალური ოთახი სჭირდება, ინდივიდუალური კომპიუტერი, არ არის ფიზიკურად ამდენი კომპიუტერი და უწევთ ტელეფონის და კომპიუტერის განაწილება, ინტერნეტის ხარვეზებიც იქმნება და მერე იძულებული ხარ მოწყდე შენ საქმეს, გავარდე ერთ ბავშვთან, გაუსწორო ხარვეზი, მერე მეორეს ექმნება, მოკლედ მძიმე სამუშაოა. ბავშვების სწავლა გახდა ერთი დიდი ტვირთი ოჯახისთვის. ყველაფერი პრობლემა გახდა, გათენებიდან საღამომდე სულ არის გაუთავებელი სტრესი, სულ ხარ მოსწრებაზე, სულ რაღაც პრობლემაა, ამის გამო ზუსტად, აი ამ დისტანციური სწავლებისგან და იმისგან რომ ფაქტობრივად ერთი სამსახურით მეტი გაქვს.“*

***რესპონდენტი 4 (დედა):*** *„ძალიან დამძიმდა და გართულდა. გაკვეთილების მომზადებაში, ჩვეულებრივად მასთან ერთად ვზივარ და ვმეცადინეობ. ტექნიკურ ნაწილში არა, თვითონ ახერხებს და ეს მეცადინეობის ამბავში... დღეში ორი საათი მაინც გვჭირდება ყოველდღიურად.„*

***რესპონდენტი 5 (დედა):*** *„გაკვეთილები რომ მორჩება, ვერ იგებს რა იყო ახსნილი და რომ რჩება გაკვეთილები, მერე ჩვეულებრივად ვუტარებ რაც ქონდა. ვუხსნი კიდეც, ვამეცადინებ, ვაწერინებ, მერე უნდა გადაუღო სურათები, ქვეყნის დრო მიაქვს, ასე ორი სამამდე ამეებს ვუნდები. ამ დროს მეორე ბავშვი მიჭირავს, ხან ვაძინებ, ხან ვაჭმევ, ძირითადად ასე ვარ."*

***რესპონდენტი 6 (დედა):*** *„ პანდემიის პერიოდში მეტ დროს ვანდომებდი, რადგან რასაც ვერ იღებდა სკოლაში, ის მე უნდა მიმეცა სახლში და მე ვიყავი ფაქტიურად დამხმარე მასწავლებელი."*

***რესპონდენტი 7 (დედა):*** *- „მეცადინეობის კუთხით შეიცვალა ის, რომ მე მიწევს ყოველ დღე მისი მეცადინეობა, დავალების შესრულებაში დახმარება, საჭიროა ვიყო ფსიქოლოგიც, მასწავლებელიც, დედაც, რომელსაც ნერვები წესრიგში აქვს და ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ არა, ყველაფერი მთლიანად ჩემზეა ამ ეტაპზე."*

რაც შეეხება დისტანციური სწავლების შეფასებას პედაგოგების მიერ, ისინი განმარტავენ, რომ დისტანციური სწავლების პროცესში ოჯახის ის წევრები ჩაერთნენ, რომლებსაც უფრო მეტად უწევდათ სახლში ყოფნა, თუმცა ძირითადად ეს ტვირთი როგორც პანდემიამდე არსებულ პერიოდში, ონლაინ სწავლების დროსაც დედებზე და ბებიებზე გადადიოდა. პედაგოგების განმარტებით, ხშირად მშობლები ძალიან, ზოგჯერ ზედმეტად აქტიურადაც კი ერეოდნენ სასწავლო პროცესში, გაკვეთილების დროს ბავშვებს გვერდით ესხდნენ და რიგ შემთხვევაში უშუალოდ სასწავლო პროცესშიც კი იჭრებოდნენ. პედაგოგების ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ დისტანციურმა სწავლებამ იმოქმედა არა მხოლოდ ბავშვების ფსიქოლოგიურ განწყობაზე, არამედ აისახა მშობლებზეც. როგორც დაწყებითი კლასის დამრიგებლებმა აღნიშნეს, მათ ხშირად მშობლებისგანაც სმენიათ, რომ მათთვის რთული იყო თითოეული დავალების ატვირთვა და იმის თვალ-ყურის დევნება, რომ დაცული ყოფილიყო თითოეული დავალების ატვირთვისთვის განსაზღვრული ვადა. რიგ შემთხვევებში, იქმნებოდა ტექნიკური ხასიათის პრობლემებიც, როდესაც ბავშვს არ ჰქონდა შესაბამისი ხარისხის ინტერნეტი, რის გამოც სასწავლო პროცესს სრულყოფილად ვერ ადევნებდა თვალს, ან ოჯახში ერთ ოთახში რამდენიმე ბავშვსა და ოჯახის წევრს უხდებოდა სწავლა და მუშაობა.

***რესპონდენტი 1 (პედაგოგი):*** *„ვისაც ორი-სამი მოსწავლე ჰყავდა, იმათ ძირითადად აწუხებდათ დავალების ატვირთვის პროცესი, ხშირად უთქვამთ, რომ შევასრულეთ, მაგრამ ვერ გამოვგზავნეთ დავალება. ყველა საგანში სხვადასხვა დედლაინი იყო და ზოგჯერ შეიძლება მართლა ასრულებდნენ, მაგრამ ჩვენ რომ ვწერდით რომ არ იყო დავალება, მერე მეუბნებოდნე, რომ შევასრულეთ, მაგრამ ვეღარ ავტვირთეთ.“*

***რესპონდენტი 2 (პედაგოგი):*** *„ძალიან ხშირად გამიგია, რომ ოჯახში ყველა სახლში დავჯექით და ოთახში ამდენი ხმაური და ყველა ერთად, ერთი აბაზანიდან ერთვებოდა, რაც შეეხება დავალების ატვირთვას, პრობლემა იყო, მაგ, პედაგოგის შვილი მყავდა ყველა დავალებას წერდა, მაგრამ ლეპტოპში სხვა სპეციფიკა იყო და მაგის გამო არ შემიძლიაო, ამ პაროლების ცვლა და გაუათმაგდათ შრომა, ყველა სახლში რომ არის ორმაგი შრომა გჭირდება, ხმაური ისმოდა ხოლმე. ერთოთახიან ბინაში ზოგჯერ 7 ადამიანი რომ ცხოვრობს, ერთ სივრცეში იყვნენ პანდემიის დროს, ძალიან ძალიან რთული იყო.“*

რაც შეეხება თავისუფალი დროის არსებობას, კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქალების შედარებით მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ სახლში იძულებით ყოფნის პირობებში მეტი დრო გამოუთავისუფლდათ, თუმცა კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა დისტანციურ მუშაობაზე და შვილების ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად განიცდიდა თავისუფალი დროის დეფიციტს. მათაც, რომლებსაც შედარებით მეტი დრო გამოუჩნდათ, ბავშვების სწავლის პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი გაეზარდათ. პანდემიის შემდგომ თავისუფალი დროის ხარჯვა ძირითადად სახლში სხვადასხვა აქტივობებს უკავშირდებოდა, რადგან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებმა მუშაობა შეწყვიტა, ასევე თავისუფალი დროის დიდ ნაწილს გამოკითხული რესპონდენტები სუფთა ჰაერზე გასვლასა და სეირნობას უთმობდნენ.

***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„ძალიან აქტიურად ვარ ჩართული კარიერის კუთხით და ძალიან მინდოდა სახლში მეტი დროის გატარება, ჩემი პირადი სივრცის და პირადი დროის უფრო მეტი მობილიზება მინდოდა, ამ პანდემიამ მომცა ის, რომ სულ ბავშვებთან მიწევს კონტაქტი“*

***რესპონდენტი 2 (დედა):*** *„ვერ ვიტყვი რომ დისტანციურად რადგან ვიყავით ნაკლებად დატვირთულები ვიყავით, შეიძლება ითქვას პირიქითაც კი. ღამის დღე და ღამე გადასწორებული იყო და ადამიანებს დაკარგული ჰქონდათ შეგრძნება არასამუშაო საათებში გწერდნენ და ითხოვდნენ პასუხს თუ სამუშაო საათებში, შესაბამისად დატვირთვა*

*მქონდა ანალოგიური, ვალდებული ვიყავი ვმჯდარიყავი დილიდან საღამომდე კომპიუტერთან. თითქმის არ მრჩებოდა თავისუფალი დრო.*

***რესპონდენტი 3 (დედა):*** *„ბავშვის დაძინების შემდეგ, ჩემ თავს ვაძლევ უფლებას, რომ კინოს ვუყურო, თუ მიმყვა გონება იქამდე რომ არ დამეძინოს."*

გადატვირთულობამ და პანდემიურმა სტრესმა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლებზე, მათი სოციალური როლი შეიცვალა, ის დედები, რომლებიც ადრე აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, იძულებულნი გახდნენ სახლში ყოფილიყვნენ, ისინი კი, რომლებსაც მაინც უწევდათ სამსახურში სიარული, დარჩნენ სოციალური კავშირების გარეშე როგორც სამსახურში, ასევე სამსახურის შემდგომ პერიოდში. ამას დაემატა ფინანსური პრობლემები, რომლებიც რესპონდენტთა ნაწილს შეექმნა, სირთულეები სამსახურებში, რა დროსაც მათ უხდებოდათ ახალ რეალობასა და გარემოსთან ადაპტირება, არსებული გეგმების გადაწყობა და პარალელურად ბავშვების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, ახალ გამოწვევებთან გამკლავება. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოკითხულთა დიდ ნაწილზე უარყოფითად იმოქმედა. რესპონდენტების უდიდეს უმრავლესობას მოემატა შფოთვა, ჯანმრთელობის პრობლემები, თავის ტკივილი, უარყოფითი აზრები. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სტრესს ისევ ოჯახის წევრებთან ურთიერთობით, გარემოს შეცვლით, ვარჯიშითა და სუფთა ჰაერზე გასვლით ებრძოდა, ნაწილს სპეციალისტის ჩარევა დასჭირდა.

ისევე როგორც სტრესთან ბრძოლის ფორმები, რესპონდენტების არსებულ სიტუაციასთან შეგუებისა და დაძაბულობასთან გამკლავების რესურსიც სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა, ნაწილმა აღნიშნა, რომ მაინც დარჩა რესურსი პანდემიის კიდევ ერთ ტალღას და ჩაკეტილობას გაუმკლავდნეს, სხვები კი აღნიშნავენ, რომ უკვე საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე იმყოფებიან და კიდევ ერთ ასეთ იზოლაციას ფაქტობრივად ვეღარაც ფსიქოლოგიურად და ვეღარც ფიზიკურად ვერ გაუძლებენ.

***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„როგორც დედა მგონია, რომ უფრო ნერვიული გავხდი, მგონი ბავშვებთან მიმართებაში უფრო ნერვების მოთოკვა მიჭირს. ამაზე ფიქრს რომ ავყვე, შეიძლება მართლა გავგიჟდე. დახმარებისთვის ვის მივმართო, ერთი განტვირთვა რაც არის, ბავშვებს ერთი ან ორი დღე თუ დავუტოვებ ხოლმე დედაჩემს და მამაჩემს და ვარ სახლში სიჩუმეში და ან ფილმს ვუყურებთ მე და ჩემი მეუღლე ან რამეს, სხვა ფუფუნება არ გვაქვს ამ სიტუაციაში."*

***რესპონდენტი 2 (დედა):*** *„ჩემ ოჯახის წევრებს არ შეხებია ეს დაავადება. დავიწყეთ სეირნობა დილით ადრე და საღამოს ბავშვებთან ერთად. უფრო*

*მეტი დრო გვქონდა რომ სუფთა ჰაერზე გვეტარებინა დრო.ვხედავ რესურსს, რომ გავუმკლავდე კიდევ თუ იქნება ჩაკეტვა.“*

***რესპონდენტი 3 (დედა):*** *„მაქსიმუმ ერთი წელი გავძლო ალბათ, მეტი არა. ესეც ისე რა, თუ ისევ ჩემ თავზე ვიმუშავებ, არ უნდა მოვდუნდეთ.“*

***რესპონდენტი 4 (დედა):*** *„მე მქონდა ნერვული პრობლემები, ეს მერე პირდაპირ აისახება ფიზიკურ პრობლემებზე, რადგან უუნარო ხდები აბსოლუტურად. არ მეგულება ირგვლივ ადამიანი, ვისაც გარშემო მსგავსი პრობლემა არ შეექმნა, მე შემექმნა განსაკუთრებით დიდი დოზით მემგონი.მოდუნებას ძალიან ცოტა დოზით ვახერხებდი, რაც არ არის საკმარისი და ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად. თავისუფალი დრო არ მრჩება, ღამის საათებში, როდესაც შენ თვითონაც ძილს საჭიროებ, ამ დროის ქონას აზრიც არ აქვს. სტრესთან გასამკლავებლად მივმართე ექიმს ნევროლოგს, დამჭირდა მკურნალობა, ანტიდეპრესანტები, მე თვითინ ვცდილობ რომ ფიზიკური დატვირთვითაც ვნახო შვება. ძაან რთული სათქმელია და ძალიან მძიმე თემაა, ალბათ კვლავ ექიმთან მივბრუნდები, ანუ ის ანტიდეპრესანტები რაც შევწყვიტე ისევ დავიწყებ დალევას,“*

***რესპონდენტი 5 (დედა):*** *- „კიდევ ერთ ჩაკეტვას მე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ვერ გავუძლებ. ჩემთვის აუცილებელია ერთი საათი მაინც მარტო დავრჩე, ამიტომ შევდიოდი ტუალეტში და ვიკეტებოდი, იქ განმარტოების ოთახია. სტრესთან გასამკლავებლად ვერანაირი გზა ვერ ვიპოვე.“*

***რესპონდენტი 5 (მამა):*** *„ მოიმატა შფოთვამ და ალბათ ყველასთვის მოიმატა, არამარტო ჩემთვის, ალბათ ფსიქოლოგიური მომენტია“*

კვლევის ფარგლებში, მონაწილეებს დავუსვით შეკითხვა, რა შეამსუბუქებდა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების როლს და თუ იყო შესაძლებელი სკოლებს, დამსაქმებლებს ან ზოგადად სახელმწიფოს მიეღო გარკვეული ზომები, რაც გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას პანდემიის პერიოდში.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი თანხმდებოდა, რომ დამსაქმებლებს ნაკლებად შეეძლოთ ვითარების შეცვლა არსებულ სიტუაციაში, რადგან მათი განმარტებით კერძო კომპანიები თავადაც მნიშვნელოვნად დაზარალდნენ, თუმცა მონაწილეთა უმრავლესობა მესალმებოდა იმ ფაქტს, თუ კერძო დამსაქმებლები მოახერხებდნენ დასაქმებულთა შტატისა და ანაზღაურების შენარჩუნებას. კერძო კომპანიებში დასაქმებულთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ კომპანიებმა მათ მისცეს შედარებით მოქნილი გრაფიკით სარგებლობის შესაძლებლობა, მეორე ნაწილი აღნიშნავდა, რომ მათ შემთხვევაში არაფერი შეცვლილა და დისტანციურ რეჟიმშიც ძველებური

გრაფიკით უხდებოდათ მუშაობა. რაც შეეხება საჯარო სამსახურში დასაქმებულ დედებს, მათი განმარტებით მთელი დღე მაინც კომპიუტერთან უხდებოდათ ყოფნა, მაშინაც, როდესაც არსებულ საქმეებს დაასრულებდნენ, არ შეეძლოთ სამუშაო კომპიუტერის მიტოვება. მათი განმარტებით, ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა, თუ საქმის დასრულების შემდეგ, შესაძლებლობა ექნებოდათ ბავშვებისთვის ან სხვა სახლის საქმისთვის მიეხედათ და მუდმივად კომპიუტერთან არ ყოფილიყო სავალდებულო დაძაბული ჯდომა.

რაც შეეხება სკოლებს, როგორც პედაგოგები, ასევე მშობლების ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლებმა მეტ-ნაკლებად თავი გაართვეს დისტანციურ სწავლებას. აქ გარკვეული განსხვავებები შეინიშნებოდა საჯარო და კერძო სკოლებს შორის. საჯაო სკოლები ბავშვებს სთავაზობდნენ შეზღუდული რაოდენობისა და ხანგრძლივობის გაკვეთილებს, რაც მშობლების ნაწილისთვის არ იყო საკმარისი და მისაღები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამან გაზარდა მშობლების ტვირთიც და შეამცირა ბავშვის განათლების ხარისხი, კერძო სკოლებში გაკვეთილები უფრო მეტად სრულყოფილი სახით ტარდებოდა და გაკვეთილის ხანგრძლივობა უფრო დიდი იყო, ამას დაემატა ასისტენტის საათის შეთავაზებაც, როდესაც ბავშვებს შეეძლოთ ესარგებლათ გაკვეთილების მომზადების სერვისით. ეს მშობლებისთვისაც გარკვეულ შვებას წარმოადგენდა და მათ შრომასაც ამსუბუქებდა. თუმცა რაც შეეხება ტექნიკურ გამოწვევებს (ინტერნეტის ხარისხი, ქსელების მომსახურების უწყვეტობა), ამ კუთხით პრობლემები, განსაკუთრებით თავდაპირველ ეტაპზე ორივე ტიპის სკოლებში შეინიშნებოდა.

პედაგოგების შეფასებითაც, სკოლებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი ონლაინ სწავლებას, მათ ისეთი რამ შეძლეს, რასაც რამდენიმე წლის წინ საერთოდ ვერ წარმოიდგენდნენ. პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ ცდილობდნენ გაკვეთილები საინტერესოდ დაეგეგმათ, თუმცა ამასთანავე აცხადებდნენ, რომ ონლაინ სწავლება მაინც ვერასოდეს გაუთანაბრდა კლასში ჩატარებულ გაკვეთილს და ეს დისტანციური კომუნიკაცია ბავშვების ფსიქიკურ მდგომარეობაზეც აისახება. როგორც მშობლების, ასევე პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ ონლაინ სწავლების გამო, ბავშვების მხრიდან კომპიუტერთან მეტი დროის და სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებზე მიჯაჭვულობის პრობლემა მნიშვნელოვნად გამწვავდა. პედაგოგებიც და მშობლებიც ხაზს უსვამენ, რომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ისევ დისტანციური სწავლება და სკოლების დახურვა არ გახდეს საჭირო.

გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ყველაზე მეტად დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლების (განსაკუთრებით დედების) მდგომარეობის შემსუბუქება სახელმწიფოს შეუძლია. სასურველ ზომებს შორის მშობლების მხრიდან დასახელდა ეპიდემიის პრევენციის ეფექტიანი პოლიტიკის

გატარება (პირბადეების ტარებისა და დისტანციის მკაცრი კონტროლი, დროული და თანმიმდევრული ვაქცინაციის პროცესი), ასევე დასახელდა ეკომონიკური მხარდაჭერის პროგრამების ხელმისაწვდომობა, საუბარია არა ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე, რაც მონაწილეთა შეხედულებით არ არის შედეგიანი, არამედ მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაზე, რომელიც უფრო ხანგრძლივ ვადიანი და შორს მიმავალი ეფექტის მქონე იქნება. ასევე აღინიშნა, რომ სრული ჩაკეტვისა და იზოლაციის გამოცხადება იმ შემთხვევებში, თუ მშობლები მუშაობდნენ, ფაქტობრივად გულისხმობდა არჩევანის წინაშე მათ დაყენებას, სამსახურსა და ბავშვების მოვლას შორის. ამავე პრობლემას აწყდებოდნენ მარტოხელა დედები, რომელთა აზრით ამ ტიპის ბავშვების მშობლების მდგომარეობაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და შესთავაზოს მათ დამატებითი სერვისი, რათა სხვაგავარად გადაჭრას მათი სწავლების საკითხი და მარტოხელა დედებს მიეცეთ მუშაობის შესაძლებლობა.

> ***რესპონდენტი 1 (დედა):*** *„ზოგადად ისეთი მიდგომა აქვს სამსახურს, რომ როცა სამუშაო საათებია, აუცილებლად უნდა ვიყო კომპიუტერთან ხელმისავწდომი, ონლაინ რეჟიმში და კარგი იქნებოდა, თუ მექნებოდა ლავირების საშუალება, ანუ მე თუ ჩემ სამუშაოს შევასრულებ რაღაც დროის განმავლობაში და ეს ჩემთვის საკმარისია, უნდა მქონდეს საშუალება, რომ დანარჩენი პერიოდი დავუთმო შვილების სწავლა-განათლებას, იმიტომ, რომ სულ ამ კომპიუტერის იმაში ვარ, ხუთი წუთიც ვერ დამიტოვებია ჩემი ადგილი და სულ დამაქვს ლეპტოპი“.*

> ***რესპონდენტი 2 (დედა) :*** *სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით შევცვლიდი ყველაზე მეტს და მგონია რომ მთავარი ცვლილება იქიდან უნდა მოდიოდეს. ვერც კერძო დამსაქმებელს მოთხოვ ამ დროს რამეს, იმიტომ რომ ისიც ისეთივე მსხვერპლი ხდება ამ სიტუაციის როგორც შენ თვითონ ხარ და პირიქით მაქსიმალურად ცდილობენ რომ არც ხელფასი შეგიმცირონ და არც სხვა ბონუსური შემოსავალი, ნუ სადამდეც გაწვდებიან, ოჯახის წევრებიც მაქსიამლურად ვცდილობთ ერთმანეთს ხელი შევუწყოთ, ვერც მეუღლეს დავადანაშაულებ, მასაც ისეთი სამსახური აქვს რომ ასეთი სპეციფიკა აქვს, ასე რომ ალბათ უფრო სწორი პოლიტიკა.*

> ***რესპონდენტი 3 (დედა)****: უნდა გაიხსნას ყველაფერი, რომ არ დადის ბავშვი არაფერზე, ამის აზრს ვერ ვხედავ, ეს კორონა მაინც არ არის ჩაკეტვით მოგვარებადი, გაიხსნას სკოლები, ბავშვებმა იარონ როგორც დადიოდნენ. ეს თავისთავად გამოიწვევს ჩემშიც რელაქსს, რაღაცა შეიცვლება. ბავშვიც უფრო გაღიზიანებულია, ეზოში ვუშვებ და ბავშვები რომ თამაშობენ,*

*ერთმანეთსაც ერიდებიან, მეც ვერიდები რა თქმა უნდა. ეხლა არის ძალიან გაღიზიანებული, სულ ტირის, ბრაზობს და რავიცი.“*

***რესპონდენტი 4 (დედა):*** *„ნუ დამსაქმებელს თუ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ცოტა მეტი მატერიალური წახალისება მისცეს, ანაზღაურება გაზარდოს, შრომის პირობები შეცვალოს იქნება იდეალური ვარიანტი, აი რაღაც არაფრისგან სიბნელეში სანთელს რომ აანთებ, იქნება ასეთი საშველი. თუ არის ასევე იმის საშუალება, რომ სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ ასეთი გამონათებები გააკეთოს. თუ სრულად ვერ შველის თემას, ეს ალბათ მეორე კიდევ.“*

***რესპონდენტი 5 (მამა):*** *“პირველი რაც აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას, აუცილებელია ფინანსური დახმარებები, ოღონდ არა ერთჯერადი ფინანსური დახმარებები, მე ვგულისხმობ გარკვეულ სფეროებზე გრძელვადიანი ფინანსური დახმარებები, იმიტომ, რომ ვთვლი რომ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას შედეგი არ მოაქვს, ამ კუთხით უნდა იყოს და მეორე, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ვაქცინაციაზე, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, ქვეყანა თუ დაუბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას, შემდეგ უკვე თავისთავად მოხდება ამ ყველა სფეროს ამუშავება და ეს პრობლემებიც მოიხსნება.“*

***რესპონდენტი 6 (მამა):*** *„ალბათ მეტი ყურადღება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან, არის ძალიან გაჭირვებული ოჯახები, ვინც სამსახურიც დაკარგა ამ პანდემიის გამო და ძალიან ელემენტარული, საჭმლის ფული არ აქვთ და რომ დაეხმაროს მატერიალურად. ჩემი მეუღლე პანდემიამდეც სახლიდან მუშაობდა, თუმცა ზოგადად დამსაქმებელს მეტი თავისუფალი დრო უნდა მიეცა მშობლებისთვის, რომლებიც ძალაუნებურად სახლში სხედან და იქიდან სწავლობენ და მასწავლებლების ფუნქციებიც მშობლებმა აიღეს ამ პერიოდში.„*

## კვლევის ძირითადი მიგნებები

- **პანდემიამდე პერიოდში, როგორც საოჯახო საქმეების გაძღოლის კუთხით, ასევე ბავშვების აღზრდისა და სწავლის მიმართულებით**

დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედებს წამყვანი ადგილი ეკავათ და მათ მიერ გაწეული სამუშაო ბევრად აღემატებოდა მამების ჩართულობას;

- ქალების დიდი ნაწილი პანდემიის დაწყებამდე დასაქმებული იყო და მონაწილეობდა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის ნაწილშიც;
- პანდემიამდე პერიოდში დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი თავისა და ინტერესებისთვის თავისუფალი დრო ფაქტობრივად არ რჩებოდა, იმ რამდენიმე საათს, რომელსაც დიდი ძალისხმევის შედეგად ითავისუფლებდნენ ძირითადად ისევ შვილებისა და ოჯახის ინტერესებისთვის იყენებდნენ;
- პირისპირ სწავლების პერიოდში დედების უმრავლესობა ნაკლებად იყო ჩართული სასწავლო პროცესში და მხოლოდ შესრულებული დავალებების კონტროლით ან უცხო ენაში მეცადინეობით შემოიფარგლებოდა;
- ქალებს მამაკაცებთან ნაკლებად აქვთ პრეტენზიები მათ მიერ საოჯახო საქმეებში ნაკლებად ჩართვის გამო, ამას მათი დაკავებულობით ხსნიან, საოჯახო საქმეების დიდ ნაწილს კი რესპონდენტთა დიდი ნაწილი „ქალის საქმეს", „დიასახლისის საქმეს" უწოდებს და მასში დახმარების მოლოდინიც ნაკლებად აქვს, ძირითადად მათი მეუღლეების მხარდაჭერას საოჯახო ნივთების შეძენის, ბავშვების გასეირნების, ეზოს დალაგების და სხვა მსგავს საქმიანობაში მოიაზრებენ;
- პანდემიის შემდგომ საოჯახო საქმეების კუთხით ქალების დატვირთვა ოჯახში მნიშვნელოვნას გაიზარდა, რიგ შემთხვევაში გაორმაგდა კიდეც;
- პანდემიის შემდგომ რესპონდენტი ქალების ნაწილი შედარებით მოქნილ გრაფიკზე გადავიდა, თუმცა მეორე ნაწილის სამუშაო საათები უფრო არანორმირებული გახდა და მათი სამსახურებრივი დატვირთვა არ შემცირებულა;
- ბავშვების აღზრდასა და სწავლაში ჩართულობის მაჩვენებელი როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლებისთვის საგრძნობლად გაიზარდა, ეს ტვირთი ძირითადად მოსწავლეთა დედებს დააწვათ და მათ ფაქტობრივად დამხმარე პედაგოგისა და ასისტენტის ფუნქციები შეითავსეს;
- თავისუფალი დროის არსებობის კუთხით, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, მათ ძალიან უჭირდათ თავისუფალი დროის გამონახვა, რაც მათ მდგომარეობას პანდემიის პირობებში კიდევ უფრო ამძიმებდა;
- დაწყებით კლასის მოსწავლეთა დედების აბსოლუტური უმრავლესობის გამარტებით, გართულდა ბავშვების ყოველდღიური რუტინის რეგულირებაც, დამძიმდა მათი ემოციური მდგომარეობა და გაიზარდა

ბავშვების მიჯაჭვულობა ელექტორნულ მოწყობილობებზე, რაც მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა მშობლებისთვის და დამატებით ძალისხმევას მოითხოვდა;

- პანდემიის პირობებში პრობლემა შეიქმნა დისტანციური სწავლების ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებითაც, საჭირო გახდა ტექნიკური აღჭურვილობის დამატებით მომარაგება, სამუშაო სივრცის გადანაწილება, რაც რიგ შემთხვევებში პრობლემას წარმოადგენდა. ხშირად საერთო სივრცის გაყოფა რამდენიმე მოსწავლის, ან დედის და შვილის მიერ დამატებით დაძაბულობას და სირთულეებს ქმნიდა;
- პანდემიის შედეგად გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად აისახა გამოკითხულ რესპონდნეტთა ოჯახების ნაწილზე, არსებული ვალდებულებების შესრულების წნეხი, ავადმყოფობის შიშის, სოციალური იზოლაციისა და ჩაკეტილობის პარალელურად მნიშვნელოვნად აისახა ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე;
- დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედების სოციალური როლი მნიშვნელოვნად პასიური გახდა, მათი როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აქტირი წევრების როლი მნიშვნელოვნად შემცირდა, შემცირდა იმ აქტივობების რაოდენობაც, რითიც ისინი ახერხებდნენ სტრესთან, დატვირთვასთან გამკლავებას (დაიკეტა სალონები, კინო, თეატრი, კაფე-ბარები, შეუძლებელი გახდა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან პირისპირ კონტაქტი), მათ დაკარგეს დამხმარე პერსონალის მხარდაჭერით სარგებლობის შესაძლებლობაც, შესაბამისად, გაიზარდა მათი „აუნაზღაურებელი, ოჯახური შრომა“ და შეიზღუდა განტვირთვის შესაძლებლობები;
- გამოკითხული ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფებოდა დიდი ფსიქოლოგიური დაძაბულობისა და სტრესის ქვეშ, რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თუ ისევ გახდება ჩაკეტვა საჭირო, გაუჭირდება ამ მდგომარეობასთან გამკლავება, მათი ნაწილის განმარტებით იმყოფებიან საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე, თუმცა შედარებით მცრე ნაწილი უფრო იმედიანად არის განწყობილი და აღნიშნავს, რომ შეძლებს ამ გამოწვევასთან გამკლავებას, რადგან სხვა გზა მაინც არ არის;
- კვლევის მონაწილეთა განმარტებით სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ჩაკეტილობის პირობებში დაეხმარება ოჯახებს თავი გაართვან მატერიალურ გამოწვევებს, ამასთან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დამსაქმებლების მხრიდან ხელშეწყობას, როგორც კადრებისა და ანაზღაურების შენარჩუნების, ისე მოქნილი

სამუშაო საათების უზრუნველყოფის კუთხით, თუმცა ეს მოთხოვნის სახეს არ იღებს და უფრო სურვილების დონეზე იქნა გამოთქმული;

- რაც შეეხება ონლაინ სწავლებას, ამ კუთხით გამოიკვეთა როგორც ტექნიკური ისე შინაარსობრივი სირთულეები, განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა საჯარო სკოლებში გაკვეთილების ხანგრძლივობა, დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის განსაკუთრებით პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა სწავლების ამ ფორმატთან შეგუება და ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა მშობლები განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ;
- კვლევამ ცხადყო, რომ სრული „ლოქდაუნი“ მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დედებს, განსაკუთრებით მარტოხელა დედებს, ან მათ, ვისაც ფიზიკურად სხვა დამხმარე არ ჰყავს, ისინი ფაქტობრივად არჩევანის წინაშე დგებიან ბავშვის საჭიროებებსა და სამსახურებრივ საქმიანობას შორის, რაც მათთვის დამატებითი ნერვიულობისა და სტრესის წყაროა.